ოქმი:**ო63.63211813**
თარიღი:**30/06/2021**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი N 26

ქ. სამტრედია. 30 ივნისი, 2021 წელი.

2021 წლის 30 ივნისს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ჯამბურია, კობა ძიძიგური, მანანა სირბილაძე, შალვა არზუმანიანი, ბადრი შენგელია, მერაბ უღრელიძე, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, დავით ამაღლობელი, ვაჟა სტურუა, ლიზა კრავეიშვილი, ილია მჟავია.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. მუნიციპალიტეტის საკრებულოში მერიიდან შემოსული წერილობითი მომართვის

   განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ნუგზარ ჯამბურია/

2. სხვადასხვა

კენჭისყრის შედეგად, (12 ხმით) მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. 2021 წლის 29 ივნისის N 62-622118042, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წერილობთი მომართვა, რომელიც ეხება, ,,2021 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ'', სამტრედიის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 აპრილის №38 37 განკარგულებაში ცვლილების შეტანის საკითხს. ცვლილების მიხედვით, სოფელ ხუნჯულაურში მგზავრათა ახალი მოსაცდელის მშენებლობის ნაცვლად მოხდება არსებული რკინის კონსტრუქციის მოსაცდელის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია, ასევე სოფელ ნაბაკევში დაგეგმილი სარწყავი სისტემის მოწყობის სამუშაოების ნაცვლად ამ სამუშაოებზე გათვალისწინებული თანხა გადანაწილდება გარე განათების სისტემის მოწყობაზე და სკვერში ატრაქციონების მოწყობის სამუშაოებზე.

(მომართვის N 62-622118042, 29/06 /2021 წ. საკრებულოს რეგისტრაციის N 12-63211807-63, 29/06/2021 წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისია.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი ამოწურულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი